ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 239 (13623) | ხუთშაბათი, 20 ოქტომბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის სახელოვან მშენებელს, მსოფლიოს ყველა ადამიანის თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან

ოქტომბრის ძლევამოსილი დროშა

შემოდგომის მეწამულ ფერადებში ოთოქოს გაოსვენებს მოახლოებული დღესასწაულის ალისფერი სახეხი. მის სასიხარულო ნიშნებს კიდევ უფრო მკაფიოდ მოწმობს ჩვენი ქვეყნის დაძაბული შრომითი რიტმი, საერთო აღფრთოვანება — საბჭოთა ადამიანები ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ლენინური რადიოციისამებრ, როგორც ყოველთვის საბჭოთა სახელმწიფოს დებადების დღის ხანს, ჩვენს ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში, გაისმა გუშინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი. ხალხის შემოქმედებითი ძალებისადმი ღრმა რწმენით გაჟღენთილი ეს მოწოდებები მიმართულია საბჭოთა კავშირის შრომელთა გონებასა და გულისადმი, ყველა ქვეყნის ხალხებისადმი და განსახიერებს ოქტომბრის საქმის გამარჯვებას, პარტიის ერთიანობას მარქსიზმ-ლენინიზმისადმი — ამ მარად ცოცხალი ყოვლისმძლე რევოლუციური მოძღვრებისადმი.

ახლანდელ დღესასწაულს თავისი გამომორჩეული ნიშნები აქვს. ეს ოქტომბრის პირველი დღესასწაულია პარტიის XXIII ყრილობის შემდეგ და ამასთანავე საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდაათი წლის უშუალო დახაწყისია. იგი ისტორიული იუბილესათვის მომზადებულ საერთო-სახალხო დათვალიერება-ნებე. და მილიონობით მშრომელს თავისი ნატვრისა და მისწრაფების გამოხატულად მიანჩია პარტიის სიტყვები: „ეს ძალები მოვახმაროთ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ხუთწლიანი გეგმის შესრულებას! დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი ღირსეშნდოთ ახალი წარმატებებით კომუნისტურ მშენებლობაში!

სახიბარულია წლის წინასწარი შედეგები, რომლებითაც ვეგებებით ოქტომბერს. ცხრა თვეში სამრეწველო წარმოების მოცულობა გასული წლის პირველ ამ კვარტალთან შედარებით 8,8 პროცენტით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება — 5 პროცენტით. ხულ უფრო ფართოდ ხორციელდება ეკონომიური რეფორმა, რაც კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ხახალხო მეურნეობის განვითარებაზე. პარტია მოუწოდებს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის უშაკეს ახალი წარმატებანი მოიპოვონ ეთწლეულისათვის ბრძოლაში: გაადიდონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, უკეთ გამოიყენონ კაპიტალური დაბანდებანი და ძირითადი ფონდები, უფრო სწრაფად აითვისონ ახალი სიმძლავრეები. მეტად საჭიროა განვამტკიცოთ ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინა, განვავითაროთ ხამეურნეო ინგარიში, გავადიდოთ წარმოების რენტაბელობა. კვლავ ძირეულ ამოცანებად რჩება შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება, მატერიალური რესურსებისა და ხახელმწიფო ხახსრების ეკონომიურად ხარჯვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ახლანდელი შედეგები სოფლის მეურნეობაში. უხვი ნაყოფი მოგვატანა პარტიის სწორმა კურსმა ხოფლად, მხვნელ-მოსეველთა თავდადებულმა შრომამ. ხახელმწიფო ბელლებში უკვე ჩაყრილია ოთხ მილიარდ ხუთას მილიონ ფუთზე მეტი ახალი მოსავლის მარცვალი. ამდენი პური ჩვენში პირველად დაუმზადებია. კარგად მიდის საქმე ხოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც. ყველა ხაბჭოთა ადამიანი ღირსეულად აფასებს ამ შედეგებს და გულთბილად უერთდება პარტიის ხმას: „ხახელი და დიდება ხოფლის მეურნეობის მშრომელებს, რომლებიც წარმატებით მოლიანად და გადაჭარბებით ახრულებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და ხახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს!“ ახლა საჭიროა განვამტკიცოთ მიღწეული, რათა საბჭოთა ხელისუფლების ხაუბილეო, ორმოცდამეათე წლისთავი გადხვეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომი აღმავლობის წელი. ამისთვის უწინარეს ყოვლისა უნდა ვიბრძოლოთ მიწათმოქმედების კულტურისათვის, განვახორციელოთ მიწების მელიორაციის პროგრამა, გავადიდოთ ნიადაგის ნაყოფიერება, მოვიყვანოთ უხვი მოხავალი თვითეულ ჰექტარზე.

ოქტომბრის მოწოდებები მიმართულია აგრეთვე ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებისადმი, საბჭოთა დაწესებულებების, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის მუშაკებისადმი, ქალებისა და ახალგაზრდობისადმი, რევოლუციის, შრომისა და ომის ვეტერანებისადმი.

პარტია გულშიჩამწვდომი სიტყვით მიმართავს საბჭოთა ადამიანების თვითეულ რაზმს და გვიჩვენებს მათ კონკრეტულ მოვალეობებს კომუნიზმის აშენებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში. ამ სიტყვებში, ამ კონკრეტულობახა და ხაქმიანობაში მკაფიოდ გაისმის ლენინის საგულისხმო მითითება: დიდი რევოლუციის წლისთავის დღესასწაულის აღნიშვნის საუკეთესო ხახელია ეს იხ, რომ მთავარი ყურადღება დავუთმოთ მის გადაუჭრელ ამოცანებს.

ПРАВДА

19 ოქტომბრის მოწოდებანი

ოქტომბერმა ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა, და პირველი სოციალისტური ხახელმწიფოს დაბადების დღე სამუდამოდ მახლობელი, ძვირფასი გახდა ყველა ხალხისათვის. საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლაში ოქტიური ავანგარდია კომუნისტური და მუშათა პარტიები. თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული ჩვენი პარტია ძალლონის დაუშურებლად იცავს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობახა და შეკავშირებას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, მოსკოვის თათბირების დეკლარაციისა და განცხადების საფუძველზე. ხახელოვანი ოქტომბრის წლისთავის წინ იგი მოუწოდებს თანამედროვეობის რევოლუციურ ძალებს — სოციალიზმის ქვეყნების ხალხებს, ხალხებს, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას უწევენ, მთელი მსოფლიოს შრომელებს გაეერთიანონ მეცადინეობა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული განთავისუფლებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ახლანდელი საერთაშორისო ვითარება მოითხოვს, რომ ყველა ხალხმა ამხილოს იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკები, განამტკიცოს ხოლიდარობა გმირ ვიეტნამელ ხალხთან, დაუცხრომლად იბრძოლოს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის, ხაყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

საერთაშორისო მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა თავარი მონაპოვარია მსოფლიო სოციალისტური სისტემა. სოციალიზმის ყველა ქვეყნის ხალხთა შეკავშირების, ძმური მეგობრობისა და ერთობის განმტკიცება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვის საგანია. ამ დღეებში საბჭოთა ადამიანები გულითადად მიეხალმებიან სოციალისტურ ხახელმწიფოთა მოძმე პარტიების ხელმძღვანელებსა და თავიანთ ბალთა მეთაურებს, რომლებიც მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდნენ მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ხაბჭოთა თავრობის მოწვევით.

პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა ღრმად განუმარტონ ხალხს ჩვენი პარტიის ლენინური პოლიტიკა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე, თვითეულ საბჭოთა ადამიანს გააცნონ პარტიის მოწოდებანი. ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ მთელი ხმით გაისმოდეს პროპაგანდისტისა და აგიტატორის სიტყვა, მიზანსწრაფულად მუშაობენენ პრეხი, რადიო და ტელევიზია, უკეთ იყენებდნენ იდეოლოგიური არსენალის სხვა საშუალებებს. მახვნის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის განვითარებასთან ერთად უნარინად უნდა შევუხამოთ ერთმანეთს მიმდინარე წლის გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტა და სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საბჭოთა ადამიანები ხიამაყით ავლებენ თვალს ხამშობლოს გმირულ გზას. სოციალიზმის თვალსაჩინო მონაპოვრებს და მშობლიური პარტიისადმი მიმართავენ თავიანთ ფიქრებს, თავიანთ ხიყვარულსა და მადლობას. მილიონობით ადამიანის გულში ცხოველ გამოხმაურებას პოულობს შოამაგონებელი სიტყვები:

— გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

შრომითი ნობათი

შეჯიბრებაში გამარჯვებული

ზუგდიდი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და კვების მრეწველობის სამინისტრომ შეაჯამეს 1966 წლის მეორე კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივებს მიეკუთვნათ ფულადი პრემიები. მათ შორის მეორე ფულადი პრემია — 1.050 მანეთის ოდენობით მიეკუთვნა ზუგდიდის მეორე ჩაის ფაბრიკის კოლექტივს (დირექტორი ა. ჯანაშია).

ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა გამოთქვა მზადყოფნა საქმით უპასუხოს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშაოა პატრიოტულ თაოსნობას, გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად აღსანიშნავად.

მთელ რიგ გალდებულებებთან ერთად იკისრეს მიმდინარე წლის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 90 ტონა ჩაის სურნელოვანი პროდუქცია.

ბელგეა გაღაჭარბებით

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შორის ახალი შრომითი ალმაცლობა გამოიწვია ჭიათურელ მაღაროელთა მოწოდებამ ღირსეული მაჩვენებლებით შეეხვედეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

დგას რა შრომითს ვახტზე, ქარხნის ხელოვანმა კოლექტივმა 9 თვის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა, ხამშობლოს გეგმის გადაჭარბებით მისცა ასეულ ტონობით ძვირფასი შენადნობი, შრომის ნაყოფიერება ჯაზარდა 1,8 პროცენტით, მნიშვნელოვნად შეამცირა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება, დაზოგა დიდძალი ნედლი მასალა.

შრომაში დაჩინაურდა მეოთხე ხაამქროს ახალგაზრდული კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი ივ. არაბული ხელმძღვანელობს. 9 თვის გეგმა ხაამქრომ 102,4 პროცენტით გაანადგა. ასევე წარმატებით შრომობენ პირველი და მეხამე ხაამქროების კოლექტივები.

ვ. ნებიერიძე.

პიროგას ანაღლებენ

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულელი მეშახტეები, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან, წარმატებით ანაღდებენ ჭიათურელ მაღაროელთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად ნაკისრ გალდებულებებს. ქვანახშირის ტრუსტმა (მმართველი ნ. კვინტაძე), მთავარი ინჟინერი დ. ღობორკიანიძე) 23 სექტემბერს, გადაზე 7 დღით ადრე უპატაკა სამშობლოს სათბობის მოპოვების 9 თვის დაგალების შესრულება. ჩვენი ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნებმა გეგმის გადამეტებით უკვე მიიღეს 50 ეშელონი ზეგეგმითი „მავი ოქრო“.

ნოემბრის ანგარიშში

ბიათურა. (საკ. კორ.). კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი დიდი თარიღების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების სათავეში ამტკიცებ ინარჩენებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

კალინინელებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს. მათ უკვე შეასრულეს სახალონლო პროდუქციის დამზადების ათი თვის დაგალება და ნოემბრის ანგარიშში საშობლოს ათასობით ტონა მარგანეცი მისცეს. მათ მარტო რვა თვეში 50.800 მანეთი დაზოგეს.

თავდადებულად და რიტმულად მუშაობენ სანარმოო ობიექტების კოლექტივები, რომლებსაც ტ. ბერეგაძე, ი. დონნაძე, შ. კაპანაძე, ირ. აბულაძე, არ. ფერაძე და ე. ლეფაკა უძღვებიან.

მაღაროს კოლექტივი იბრძვის წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შეასასრულებლად.

მათი სიტყვა და საქმე

ქუთაისი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შრომის ალმავლობა გამოიწვია ჭიათურელ მაღაროელთა მოწოდებამ ღირსეული მაჩვენებლებით შეეხვედეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

დგას რა შრომითს ვახტზე, ქარხნის ხელოვანმა კოლექტივმა 9 თვის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა, ხამშობლოს გეგმის გადაჭარბებით მისცა ასეულ ტონობით ძვირფასი შენადნობი, შრომის ნაყოფიერება ჯაზარდა 1,8 პროცენტით, მნიშვნელოვნად შეამცირა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება, დაზოგა დიდძალი ნედლი მასალა.

შრომაში დაჩინაურდა მეოთხე ხაამქროს ახალგაზრდული კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი ივ. არაბული ხელმძღვანელობს. 9 თვის გეგმა ხაამქრომ 102,4 პროცენტით გაანადგა. ასევე წარმატებით შრომობენ პირველი და მეხამე ხაამქროების კოლექტივები.

ჯ. ნებიერიძე.

დასასრულს უახლოვდება ხამუშაოები შახტ-ჰიდროელექტროსადგურზე ტყვარჩელის ქვანახშირის ბახეინში, რომლის დამთავრების შედეგად შესაძლებელი გახდება ათასობით ტონა ქვანახშირის ამოღება.

მშენებლობის დაწყებიდანვე შრომობს აქ გამოყვანთა კოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური შრომის დამკვრელი, კომუნისტი პეტრე მიქაძე. ბრიგადის ანგარიშზეა ათობით მეტრი ზეგეგმითი გვირაბი, რომელიც გაყვანილია რთულ გეოლოგიურ პირობებში.

ხურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) კონსტანტინე ღვინჯილია, შალვა გვარამია და პეტრე მიქაძე.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოკორრ.).

ჩვენს ღიად საუბარში

მოსკოვში ჩამოვიდა მონღოლეთის ახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი

18 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა მონღოლეთის ახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მონღოლეთის ახალხო რესპუბლიკის ახალხო არმიის ხაქმეთა მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ჟ. ლხაგვასურენი.

ეთერშია საქართველო

საბჭოთა რესპუბლიკების რადიოფესტივალი

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). მზიური საქართველოს ხალხებსა და ადამიანებს მიუძღვნა დღეს თავისი გადაცემები სრულიად საკავშირო რადიომ. იგი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49-ე წლისთავის წინ მართავს საბჭოთა რესპუბლიკების ტრადიციულ რადიოფესტივალს.

„ხუთწლედის პანორამა“ — ასე ეწოდებოდა რადიოჟურნალს, რომელმაც გააშუქა, თუ როგორ გარდაქმნა, როგორ ახალგაზრდავდება 1.500 წლის თბილისი და მზრუბავს შლის ყურ კიდევ ახალგაზრდა ქალაქი მაღნეული, როგორ იზრდება საქართველოს ქვანახშირის ბაზა და ვითარდება მისი მეტალურგია და ქიმია.

საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის პერსპექტივებს მიუძღვნა გადაცემა სრულიად საკავშირო რადიოს მიკროფონთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ს. ძოწენიძემ.

ამ დღეს რადიოსადგურ „ახალგაზრდობის“ სტუმარი იყო მისი ქართველი მოძმე: ახალგაზრდა რადიომსმენელებისათვის მომზადდა თემატური გადაცემა, რომელშიც გაუშვებულია ფირზილი თაობის კომკავშირელთა და საქართველოს დღევანდელი კომკავშირის სახელოვანი საქმეები, რომელიც ამრავლებს თავისი მამების ტრადიციებს.

მთელი დღის განმავლობაში სრულიად საკავშირო რადიო გადასცემდა საქართველოს ალსური მუსიკისა და ხელოვნების ოსტატთა ვოკალური კოლექტივების კონცერტებს, რადიოდღე დამთავრდა ქართული მუზუკი მუეიკის კონცერტით „ოცდაათი სასიამოვნო წუთი“.

ჟურნალისტი საუბრობს

საბჭოთა ქალაქმშენებლობა 50 წლის განმავლობაში

მშენებლობის, არქიტექტურის, საშენ მასალათა, საბინაო და კომუნალური მეურნეობის შესახებ რვაასზე მეტი დასახელების წიგნს, ალბომსა და ბროშურას გამოუშვებს გაისად „სტროიიზდატი“. ეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის პრეს-კონფერენციაზე განაცხადა გამომცემლობის მთავარმა რედაქტორმა ი. ს. ტერ-ავანესო

ჯაჭვიური ცხოვრება

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

კომუნისტ შალვა ლომიძის მნგრეველთა ბრიგადამ მზის ამოსვლას დაასწრო. ჩქარობდნენ შტოლნებისა და შურფების გამყვანნი. ვიდრე მეექსკავატორენი ამოვიღოდნენ, ბურღვა-აფეთქების სამუშაოები უნდა დაემთავრებინათ, რომ აქატის კარიერზე მუშაობა არ შეფერხებულიყო.

და აი, ჯერ დილის ათი საათიც არ იქნებოდა, რომ შტოლნებისა და შურფების გაყვანა მოთავეს. საბურღი დაზგა ასაფეთქებელ საფეხურს მოაცილეს, თვითონაც სიმიდო თავშესაფარი მონახეს — და წუთიერი სიჩუმის შემდეგ გაისმა გამაყრუებელი აფეთქებისა და ნგრევის ხმა. მას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე... და როცა ყველა მოასალოდნელი აფეთქება დათვალეს, თავშესაფარიდან გამოვიდნენ.

უზარმაზარი სამთო მასა ჩამონგრეულიყო, ეს მასა მეტი იყო განსაკუთრებით იქ, სადაც ღრმა ბურღილითაა მოხდა აფეთქება. სამთო ქანების ასეთი ბარაქიანი აფეთქება ჯერ არ ენახათ. აქატის მაძიებელ ექსკავატორების- რკინის ციცხვებს მთელ თვეს ეყოფოდათ საგზლად.

— აი რას ნიშნავს ტექნიკური სიახლე!

— მხოლოდ ორი ჭაბურღილი იყო, სულ რომ მაგით აგვეფეთქებინა, მაშინ უნდა გენახათ რამოდენა მთა ჩამოიქცეოდა, — სიხარულს ვეღარ ფარავდნენ მნგრეველები.

ეს ამ ერთი თვის წინ მოხდა. ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მომხსენებელი, პარტბიუროს მდივანი ა. კუპრაძე ამის შესახებ ამბობდა:

— საწარმოს კომუნისტები თავდადებით იბრძვიან ახალი ტექნიკისა და რაციონალიზატორული წინადადების დანერგვისთვის, რის შედეგადაც დიატომიტის შახტში და აქატის კარიერებზე თიხამის ყველა მძიმე შრომატევადი სამუშაო მექანიზებული გახდა. დღემდე ნახევრად მექანიზებული იყო მხოლოდ სამთო ქანების ბურღვა-აფეთქების სამუშაოები, და აი აქაც დაიწყო ახალი ელექტროპნევმატური საბურღი დაზგის გამოყენება.

კომუნისტ შალვა ლომიძის ბრიგადის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი წარმატებით ეუფლებიან ახალ ტექნიკას. ამასთან ისინი გულმოდგინედ აკვირდებიან ყოველგვარ დეტალებს. მათ შეიხწავლეს და ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს მოახსენეს, თუ რა ნაკლი აქვს ახალ მანქანას. და გ. წულუკიძის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა, უფროსმა ინჟინერმა ბ. ტაბატაძემ გაითვალისწინა ბრიგადის წევრთა შენიშვნები. მისი წინადადებით განხორციელდა საბურღი დაზგის მოძრავ ურიკაზე დადგმა, რამაც მბურღავ-ამფეთქებლები გაათავისუფლა ზედმეტი შრომისაგან და შესაძლებელი გახადა ახალი ტექნიკის მთელი სიმძლავრით გამოყენება. ეს ტექნიკური სიახლე — ელექტროპნევმატური საბურღი დაზგის დანერგვა — საწარმოს ყოველწლიურად მისცემს 60-65 ათასი მანეთის დანაზოგს, დაიჩქარებს ბურღვა-აფეთქების სამუშაოებს, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, კიდევ უფრო შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება.

საწარმოს კომუნისტების ინიციატივით ბევრი ტექნიკური სიახლე დანერგა აგრეთვე დიატომიტის შახტსა და საფქვავ-საშრობ საამქროში, სატვირთო სადგურში. სწორედ ამან განაპირობა საწარმოო აღმავლობა შრომის ყველა უბანზე.

აქატისა და დიატომიტის მომპოვებლებმა ნახევარი თვით ადრე შეასრულეს ცხრა თვის დავალება. გამოუშვეს 45 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ეგეგმის გადამეტებით ამოღებულია 3.000 ტონა დიატომიტი და 500. კილოგრამამდე ტექნიკური აქატი. მიმდინარე წლის ცხრა თვეში მარტო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაზოგილია 9 ათასი მანეთი.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კარგი შედეგებით მოვიდა კომუნისტ ნოდარ რაზმაძის ცვლა, რომელმაც 9 თვის მაჩვენებლებით საწარმოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

დიატომიტის მნგრეველთა ბრიგადის წევრები, რომელსაც კომუნისტი ვ. კაპანაძე უდგას სათავეში, ყოველდღიურად 3-4 ტონა ზეგეგმით დიატომიტს იღებენ. ცხრა თვეში მათს ანგარიშზე 600 ტონამდე ზეგეგმითი დიატომიტი მოდის. საანგარიშო კრების წინა დღეს მნგრეველებმა ზ. ჯაოშვილმა და მ. ჯაჯანიძემ 11 ტონის ნაცვლად 23 ტონა დიატომიტი ამოიღეს.

სახახელოდ შრომობენ სკკპ XXIII ყრილობის სახელობის გამყვანთა ბრიგადის კომუნისტები, რომელსაც ა. ჯელია ხელმძღვანელობს. მისაბაძ მაგალითს იძლევიან აგრეთვე ნ. პოხომოვისა და ა. ოქრომელიძის ცვლის კომუნისტები.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა საწარმოს უბნებსა და საამქროში შექმნილ ხარისხის გაუმჯობესების პარტიული ჯგუფების საქმიანობაზე.

მან თქვა, რომ ახალციხური აქატი და დიატომიტი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მსხვილ სამრეწველო ცენტრებში იგზავნება, ასადე მომხმარებელი გვკვავს, და ის ფაქტი, რომ საწარმოს დღემდე არც ერთი მომხმარებლისაგან რეკლამაცია არ მიუღია, პარტიული ჯგუფებისა და თვითეული კომუნისტის კარგ მუშაობაზე მეტყველებსო.

კრებაზე ითქვა იმის შესახებაც, რომ ზოგიერთი მომხმარებელი, როგორიც არის რუსთავის ცემენტის ქარხანა, სამეურნეო წლის დასაწყისიდან დიდ შეკვეთებს იძლევა, შემდეგ კი თავისი განაცხადით გათვალისწინებული პროდუქცია მთლიანად არ მიაქვს. ეს ხელს უშლის წარმოებას გამართულ მუშაობაში.

მიღწევებთან ერთად, როგორც საანგარიშო მოხსენებაში, ისე მოკამათეთა გამოსვლებში, ლაპარაკი იყო ნაკლოვანებებზეც.

— ხუთწუთიანი სახელდახელო სარემონტო საქმისათვის, — ამბობს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ა. თამამიანი, — 10-12 კილომეტრის მანძილზე იგზავნება ჩვენი 12 ტონიანი ავტომანქანები და საათობით ცდება. ეს იმიტომ ხდება, რომ უბნებზე არ გაგვაჩნია ავტოსარემონტო სახელოსნოები.

მზა პროდუქციის დამტვირთავთა ათისთვვნა ა. გურგენიძემ ილაპარაკა იმ ხელისშემშლელ მიზეზებზე, რასაც ადგილი აქვს მზა პროდუქციის ტრანსპორტირების საქმეში. მან თქვა, რომ რკინიგზის ახალციხის საბარგო სადგური (უფროსი ვ. ჩიტიაშვილი) არ იცავს ვაგონების მოწოდების განრიგს. დიატომიტის დახატვირთავად ყოველდღიურად საჭიროა ოთხი ვაგონი, რეინიგზელები კი გვაძლევენ ხან ოთხ, ხან ექვს ვაგონს, რითაც ართულებენ დატვირთვის სამუშაოებს. მანვე მკაცრად გააკრიტიკა კავშირგაბმულობის ახალციხის საექსპლოატაციო ტექნიკური კვანძის (უფროსი რ. ქარაკაშოვი) თანამშრომლები, რომლებმაც დიატომიტის დახატვირთ უბანზე დღემდე ვერ აღადგინეს სატელეფონო ხაზი.

— მეექსკავატორეები დროზე არ იმარაგებენ საწვავ-საცხებს, რის გამო ხანდახან შუა მუშაობაში უხდებათ ხოლმე შერერება და დროს დაკარგვა. საჭიროა ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენება, — თქვა შურდოს უბნის სამთო ოსტატმა ო. კობახიძემ.

კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს დირექტორის რ. ქენქაძის გამოსვლა.

— მომმარაგებლები, — თქვა მან, — ხშირად დროზე არ აწვდიან მაღაროელებს გასამაგრებელ მასალას, რის გამო დიატომიტის შახტში ფერხდება მუშაობა. სცდებიან მაღაროში ჩასული გამმაგრებლები და მნგრეველები. შურდოს უბნის მექანიზატორებმა კი ამ ბოლო დროს შეასუსტეს სამთო მექანიზმების მოვლა-პატრონობისადმი უყურადღება. პარტიულ ჯგუფებსა და კონტროლის საგუშაგოებს რომ თვალი ფხიზლად ეჭიროთ, მსგავს შემთხვევებს ადგილი აღარ ექნებოდა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს და საქმიანი წინადადებები წამოაყენეს აგრეთვე დიატომიტის შახტის უფროსმა ე. კეთილაძემ, შახტის სატრანსპორტო უბნის უფროსმა ო. ჯაველმა, პარტიის ახალციხის რაიკომის სამრეწველო განყოფილების გამგემ თ. ბერიძემ და სხვებმა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ითქვა იმის შესახებაც, რომ ქიმიური და კვების მრეწველობა დიდ მოთხოვნებს უყენებს საწარმოს გამომწვარი დიატომიტის ფხვნილზე. მათი მოთხოვნა რომ დაკმაყოფილდეს, საამისოდ საჭიროა დიატომიტის შახტის რეკონსტრუქცია და გამომწვარი დიატომიტის ფხვნილის გამომშვები ქარხნის აგება. ამ საშუშაოებზე საქშახტპროექტის ინსტიტუტმა მიმდინარე წელს უკვე დაამთავრა პროექტის შედგენა. შედგენილია აგრეთვე აქატის კარიერების რეკონსტრუქციის პროექტი, მაგრამ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ ეს სამუშაოები რატომღაც არ გაითვალისწინა მიმდინარე ხუთწლედის გეგმაში.

ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ მაღალ იდეურ დონეზე ჩაიარა, რაც იმის საწინდარია, რომ საწარმოს კომუნისტები კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და მონდომებით იბრძოლებენ წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის.

აქატ-დიატომიტის მომპოვებლებმა საანგარიშო-საარჩევნო კრების დაწყების წინ კომუნისტებთან ერთად გადახილეს თავიანთი ვალდებულებანი და გადაწყვიტეს წელს 5 დეკემბრისათვის გაანაღდონ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება, ხოლო დეკემბრის ბოლომდე სამშობლოს მისცენ 60 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

დადგენილებაში, რომელიც პარტიულმა კრებამ მიიღო, ასახვა ჰპოვა ამ ვალდებულებამაც, როგორც კომუნისტთა ერთ-ერთმა საბრძოლო ამოცანამ.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სოფლის მოამაგენი

სოფელ შაშიანის საშუალო სკოლა შეუფერებელ შენობაში იყო მოთავსებული. მთელი სოფელი ფუსდა. ვის არ მიმართეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. გავიდა წლები. კოლმეურნეობა ეკონომიურად გაძლიერდა, ხაზოგადებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის შეიქმნა მტკიცე საფუძველი, გაიზარდა არტელის ფულადი შემოსავალი. მხოლოდ ამის შემდეგ კოლმეურნეობის გამგეობამ, სასოფლო საბჭომ აქტიურთან ერთად მოილაპარაკეს, აშენ-დაშენეს შესაძლებლობანი. გამოირკვა, რომ ხალხის შრომითი მონაწილეობითა და კოლმეურნეობის სახსრებით შესაძლებელია აშენდეს სასკოლო შენობა.

დიდხანს აღარ დაუყოვნებიათ. 1960 წელს დაიწყეს სახკოლო შენობის აგება. სოფლის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მშენებლობა ჯერ სწრაფი ტემპით წარიმართა. შემდეგ გზადაგზა თავი იჩინა შეფერხებებმა, მშენებლობა გაჭიანურდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა რაიონული საბჭოს სახალხო განათლების მუდმივ კომისიას (თავმჯდომარე რ. დურგლიშვილი). კომისია სოფელს ესტუმრა, დაწვრილებით შეისწავლა მშენებლობის გაჭიანურების მიზეზები, საკითხი რაიასბჭოს აღმასკომის სხდომაზე გაიტანა. დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი. პარტიის გურჯაანის რაიკომმა და რაიასბჭოს აღმასკომმა სოფელს პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინეს. მშენებლობა კვლავ სწრაფი ტემპით გაჩაღდა. შენობის აგება მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისსათვის დამთავრდა. პირველ სექტემბერს ბავშვებმა მხიარულად შეაღეს კეთილმოწყობილი აკოლის კარი. ეს მართლაც მწვანიერი შენობა. მას აქვს 22 საკლასო ოთახი, კარგად მოწყობილი ლაბორატორიები და სახელოსნოები.

„სოფლის ახალგაზრდობისაგან შრომისმოყვარეობას რომ მოითხოვთ, ეს კარგია, მაგრამ ჩვენთვისაც უნდა იფიქროთ. ახალგაზრდების შრომის შემდეგ დასვენებაც გვიდა. სოფლის ძველი კლუბი ინგრევა. თუ დროზე მივხედავთ, მისი შეკეთება შეიძლება, შემდეგ კი იქ ყველა ღონისძიების ჩატარება მოსახერხებელი იქნება. უნდა დაგვეხმაროთ ამ საქმის მოგვარებაში“. ასეთი წერილი გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომს გამოუგზავნა სოფელ მუკუზნის ახალგაზრდობამ.

მდგომარეობით კვლავ სახალხო განათლების მუდმივი კომისია დაინტერესდა. ადგილზე შეისწავლა ყველაფერი. ფაქტები დადასტურდა. საკითხი რაისაბჭოს აღმასკომზე გაიტანა. დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი. რაისაბჭოს დახმარებით. სასოფლო საბჭოს დეპუტატების აქტიური მონაწილეობით კლუბი მალე კეთილშენდა. შეიკეთეს, შეიძინეს ინვენტარი, მოიწყო სტაციონარული კინოდანადგარი. აღდგა ბიბლიოთეკა, შეიძინა სხვადასხვა წიგნები. ახლა კლუბში ,,ოცდაათი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული. ახალგაზრდობა, მთელი სოფელი დიდად კმაყოფილია.

რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზვრებში და მინდვრებში პარაზიტი მცენარე აბრეშუმა გაჩნდა. პარაზიტი მცენარე საშიშია, მოსავლიანობას ამცირებს. შექმნილი ვითარებით დაინტერესდა რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, აგრონომი მ. არჩევნიშვილი ხელმძღვანელობს. კომისიამ შეისწავლა ამ მავნე მცენარის გავრცელების კერები. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი, გაწვეულ იქნა გარკვეული მუშაობა. ახლა მთელ რაიონში მოსპობილია ეს პარაზიტი მცენარე.

გურჯაანის რაიონში სასოფლო და საუბნო გზები კეთილმოწყობილია, მაგრამ რაისაბჭოსა და სასოფლო საბჭოების დეპუტატებს სურთ კიდევ უკეთესად იყოს მოწყობილი სასოფლო გზები. საგზო მშენებლობისა და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ, რომელსაც გ. სამნიაშვილი თავმჯდომარეობს, ეწიოს ამ საგზაო მშენებლობის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები და ორგანიზაციები ნაკლებად ჯრიან დაინტერესებულნი გზის მშენებლობის გეგმების შესრულებით. საკითხი გიაკანა აღმასკომის სხდომაზე. ჩამორჩენილ არტელებსა და ორგანიზაციებს პრაქტიკულად დაეხმარნენ დაგალებათა შესრულებაში. მდგომარეობა გამოსწორდა. ახლა ამ დარგში ჩამორჩენილი აღარავინ ჰყავთ. სწორედ ამის შედეგია ის, რომ რაონმა გზის მშენებლობის ცხრა თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

დეპუტატები დიდ ყურადღებას აქცევენ შრომის კანონმდებლობის სიცოცხლეს. ეს ადამიანის ბედია. ეს ადამიანი ,,ბედ-ბედ“ ეძებს ბედნიერ ადგილს

საერთაშორისო ცხოვრება

ორშაბათი
ოქტომბერი

გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი. საკვლევის კორესპონდენტი ი. რომანოვი გვატყობინებს:

გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე დამთავრდა ზოგადპოლიტიკური დისკუსია. თითქმის ოთხი კვირის განმავლობაში აი ი ქვეყნის წარმომადგენლნი ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ ვიდგებიან მათი მთავრობები საარსებო საერთაშორისო პრობლემებს. ვიეტნამის ომი, კოლონიალიზმის ლიკვიდაციის, განიარაღებისა და ატომური იარაღის გაუვრცელებლობის საკითხები — აი ის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც შეეხნენ თითოეულ გამოსვლაში.

ლაოსის, კვიანის, სომალის, ახალი ზელანდიის, ალჟირისა და პონდურასის დელეგატები იყვნენ უკანასკნელი ორატორები ზოგადპოლიტიკურ დისკუსიაში.

დისკუსიიდ დროს სოციალისტური ქვეყნების და აფრიკის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა მკვეთრად დაგმეს ამერიკის აგრესია ვიეტნამის მიმართ. ვიეტნამის დემოკრატიული რეპუბლიკის ტერიტორიის ბარბაროსული დაბომბვის მიწყვეტა, ამერიკის ჯარების გაყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან. სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცნობა სამხრეთ ვიეტნამის ხალხის წარმომადგენლად, ჟენევის შეთანხმებათა დაცვა—აი ის მინიმალური ღონისძიებანი, რომლებიც, ამ წარმომადგენლთა აზრით, აუცილებელია ვიეტნამის პრობლემის გადასაჭრელად.

ასამლეის ტრიბუნიდან მკვეთრად გააკრიტიკეს კოლონიზატორები, რომლებიც ყოველთაერად ცდილობენ შეაფერხონ ისტორიის განვითარება, გაახანგრძლივონ თავიანთი ბატონობა აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიათა ხალხებზე. დელეგატებმა დაგმეს ინგლისის ხელისუფალნიც, რომლებიც მფარველობენ სამხრეთროდეზიელ რასისტებს და უარს ამბობენ არაბთის ნახევარკუნძულის სამხრეთში -მდებარე კოლონიათა ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებაზე.

დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმაც კი დაგმეს აპარტიდის დანაშაულებრივი პოლიტიკა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რეპუბლიკის ხელისუფალნი ავრცელებენ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე. პორტუგალიას, სამხრეთ აფრიკასა და მათს მოკავშირეებს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას — უწოდეს ნამდვილი დამნაშავენი იმისათვის, რომ აფრიკის კონტინენტზე არის კოლონიალიზმის ნაშთები.

დისკუსიის დროს დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა გამოიჩინა საბჭოთა კავშირმა. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ საბჭოთა დელეგაციის სახელით სესიის დღის წესრიგის განსახილველად შეიტანა სამი საყურადღებო საკითხი — სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის დეკლარაციის შესრულების მიმდინარეობა, უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში და სახელმწიფოთა მიერ უარის თქმა მოქმედებაზე, რომელიც აძლევს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმების მიღწევას. საბჭოთა ინიციატივას მაღალი შეფასება მისცეს თავიანთ გამოსვლებში მთელმა რიგმა დელეგატებმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახალანდელი სესიის პირველი პერიოდის განმასხვავებელი ნიშანი იყო ის, რომ სულ ახალი და ახალი ქვეყნები მიემხრნენ მშვიდობის ძალებს, აგრესიის დაგმობას, საერთაშორისო თანამშრომლობას.

დასავლეთის სახელმწიფოები ამჯერადაც ფართოდ მიმართავდნენ დემაგოგიას, ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთი აგრესიული არსი მსოფლიოს ხალხთა წინაშე. ამერიკის წარმომადგენელმა გოლდბერგმა, კერძოდ, წამოაყენა რამდენიმე „სამშვიდობო წინადადება“ ვიეტნამის შესახებ. ინგლისმა, ახალმა ზელანდიამ და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა მოკავშირეებმა მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების ამ მანევრს. მაგრამ ზოგადი დისკუსიის სხვა მონაწილეებმა. გამოავლინეს მისი მთელი თვალთმაქცობა, ცხადყვეს, რომ ამერიკის წინადადებებში არაფერია ახალი, რომ მათი ერთადერთი მიზანია მშვიდობაზე ლაპარაკით ჩამოაშორონ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება აგრესიას.



ზოგადი დისკუსიის შედეგები გვიჩვენებს, რომ აგრესიისა და ჩაგვრის ძალებს დღითიდღე სულ უფრო უძლელდებათ წინააღმდეგობის გაწევა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ძალებისათვის, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული არსი სულ უფრო გასაგები ხდება მსოფლიოს ხალხებისათვის.

„მორნინგ სტარი“: რა ემართება ინგლისის ეკონომიკას

ინგლისი მმართველი წრეების იმპერიალისტური პოლიტიკით გამოწვეულ სერიოზულ ეკონომიურ სიძნელეებს განიცდის. მაგრამ ამ სიძნელეებისათვის თავის დაღწევას ლეიბორისტების მთავრობა, რომელსაც ვილსონი უდგას სათავეში, ცდილობს მშრომელთა ხარჯზე და თავისი ანტიხალხური კურსის გასაამართლებლად უტიფარ დემაგოგიას მიმართავს.

ახალი ამბების სააგენტო თავის მკითხველთა საყურადღებოდ აქვეყნებს გაზეთ „მორნინგ სტარის“ მთავარი რედაქტორის ჯ. მეტიუზის სტატიას, რომელიც იგი ამხილებს ლეიბორისტული ზედაფენის პოლიტიკას.

მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა სამრეწველო წარმოების შემცირებას ელოდეს. მაგრამ მისმა ავტორებმა ყოველ შემთხვევაში ერთი რამ შეიძლება მიიჩნიონ თავიანთ დამსახურებად: ამ პოლიტიკას მოსდევს ისეთი მისწრაფება „გაქუროონ, „მოიცთუონ“ და ლოაფესბები, როგორიც წინათ არასოდეს არ ყოფილა ლეიბორისტული მოძრაობის ისტორიაში.

და მეტად დამახასიათებელია, რომ ეროინარდ კროსმეხმა, რომელსაც ლეიბორისტთა სასარგებლოდ ფსიქოლოგიური ომის წარმოების საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, წამოიწყო ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ცდა ზემოქმედება მოეხდინა პროფკავშირთა წარმომადგენლებზე და ეიძულებინა ისინი დათანხმებოდნენ ხელფასის გაყინვის ხაზს, რასაც თავგზა ახორციელებს. ის, მაგალითად, ამტკიცებს, რომ ფასებისა და შემოსავლის კონტროლის შესახებ მიღებული „ბეო არა უკანასკნელი ზღუდე თავრობის პოლიტიკის დაცვისა, არაფერ შეტევა თავისუფლების გულისათვის, გაკრა ახალი იდეებისაკენ მეწარმეებსა და მშრომელებს ურთიერთობაში ... ახლი ეკსპერიმენტი სახელმწიფო დაგეგმვისა და იმ კოლექტიურ მოლაპარაკებას შორის ურთიერთმოქმედების სფეროში“, რომელსაც მეწარმეები ტრედუნიონებთან აწარმოებენ.

ბევრმა პროფკავშირულმა მოღვაწემ საზოგადოება გამოთქვა იმ აშკარად გადაჭარბებული პრეტენზიების გამო, რომ თავრობა მუდამ უნდა ეროდეს ხელფასის შესახებ მოლაპარაკებაში. მაგრამ გაბედომს „დელი მეილმა“ შეაძრწუნა თავისი კონსერვატიულად განწყობილი მკითხველები მტკიცებით, რომ მას ეს კურსი ძალნია „მეძარცხენეთა“ ცდად გაანადგუროს „ახალი ნახტომი სოციალისტური დაგეგმვის დარგში“. გადამდგარ პოლოვიკევსა და არისტოკრატიული კლუბებია წევრებს ტანში ერუანტელმა დაუარა, როცა „ობსერვერში“ წაიკითხეს ცნობა, რომ გადაწყვეტილება ხელფასის გაყინვის შესახებ თითქოს წარმოადგენს „შემდგომ ნაბიჯს სოციალისტური საზოგადოების აშენებისაკენ“. ხოლო ყოველკვირეულ „ნიუ სტეიტსმენის“ რედაქტორმა პოლ ჯონსონმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით „როგორ შეტოპეს ლეიბორისტებმა სოციალიზმში“, რომელშიც მტკიცებს, რომ თითქოს კანონს ფასებისა და შემოსავლის რეგულირების შესახებ „თავის ვენებში ნამდვილად სოციალისტური სისხლი უდგას და იგი სოციალური პროგრესის მძლავრი მამოძრავებელი უნდა გახდეს“.

ამრიგად, ლორდ როტერმერის „დელი მეილი“, ასტორის „ობსერვერი“ და ჯონსონის „ნიუ სტეიტსმენი“ ერთხმად მტკიცებენ, ხელფასის შესახებ ახალი კანონი სოციალისტური ღონისძიებაა.

არ უნდა გაგვიკვირდეს კონსერვატიულ გამოცემათა ასეთი განცხადებები, ოდესღაც ისე არაფერი ეტეხს სახელს სოციალიზმის იდეებს, როგორც მთავრობის ეს ღონისძიება. მართლაც, თუ ათეულ ათასობით ადამიანი საწარმოებიდან იქნება გაყრილი, ხოლო უფრო მეტი ადამიანი — შემოკლებულ სამუშაო კვირაზე გადაყვანილი, რეალური ხელფასი შემცირდება და სოციალური მომსახურება გაუარესდეს — და ამას „სოციალიზმს“ უწოდებენ, — რა თქმა უნდა, ადამიანთა უმრავლესობა არ მოისურვებს მასთან რაიმე საერთო იქონიოს.

მაგრამ რათ დასჭირდათ ლეიბორისტთა ლიდერებს ლაყბობა სოციალიზმზე? იქნებ ზოგიერთ მათგანს უიმედოდ აერია თავგზა?

რაბეი მაკდონალდის, ჰერბერტ მორისონის, ლორდ ეტლისა და ჰიუ გეიტსკელის იდეებზე აღზრდილებმა მათ უბოლოდ არ იციან, რა არის სოციალიზმი. მაგრამ ზოგიერთი ლიდერი წინასწარი გახზრახვით ამღვრევს წყალს. მათ იციან, რომ ლეიბორისტული პარტიის ბევრ მომხრეს სიტყვა „სოციალიზმი“ არათუ არ მიაჩნია „ბინძურ“ სიტყვად, არამედ, პირიქით, იგი მათ შორის დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. კონსერვატორებისა და მემარჯვენე ლეიბორისტების მიერ წლების მანძილზე წარმოებული დაუშვებელი მეუზეღავად, მილიონობით ადამიანს დიდ ბრიტანეთში არ დაუკარგავს უნარი ხედავდეს განსხვავებას საბჭოთა კავშირის, აგრეთვე სხვა სოციალისტური სახელმწიფოების განუწყვეტელ პროგრესსა და კრიზისების ციკლ-ცხელებით შეპყრობილ კაპიტალისტურ სამყაროს შორის.

დიდ ბრიტანეთში კონსერვატორთა 13 წლის ბატონობის შემდეგ კაპიტალიზმის აშკარა მომხრეებმა ცხადყვეს თავიანთი ბასრობა. ამჟამად ლეიბორისტების თითქმის ორი წლის ცდის შემდეგ „უკეთ ამუშაონ კაპიტალიზმი, ვიდრე ეს ტორიკ შეეძლოთ“, ქვეყანა უფრო მეტ ქაოსს განიცდის, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ამის ბედნიერად სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი უკეთებს კრიტიკულ ანალიზს ჩვენი საზოგადოების საფუძვლებს. მათ უკვე ესმით, რომ კაპიტალიზმი სერიოზულად დაავადებულია და შეპყრობილი არიან სურვილით გაეცნონ ნამდვილ სოციალისტურ ალტერნატივას.

როგორ უნდა აიძულონ ხალხი მიიღოს უმუშევრობისა და ხელფასის გაყინვის პოლიტიკა? საბოლოო ანგარიშით ეს ავიდ წამალია, რომელსაც თავის დროზე კონსერვატორები გამოსწერდნენ ხოლმე. ოღონდ ამ „პრეპარატის“ ზემოქმედება უფრო ძლიერია, ხოლო მისი „მიღება“ უზრუნველყოფილია ისეთი იურიდიული სახეცვლებით — დაპატიმრების მეშვეობით იმათთვის, ვინც თანახმა არ არის, — რომელთა გამოყენებას ტორიც კი ვერ ბედავდნენ. და აი, საოცარი გულდამშვიდებით მთავრობის მინისტრებმა, რომლებსაც „მემარცხენეთა“ ძველი რეპუტაცია აქვთ, გადაწყვეტეს „სოციალისტური“ ეტიკეტი დაეწებებინათ კონსერვატიულ შუაზე იმ იმედით, რომ პაციენტები უფრო სარწმუნოდ მიიღებენ ამას, რაც შიგა დგას.

მათი არგუმენტი ასეთია: სოციალიზმი გულისხმობს დეგეგმვას, მაშინ როცა კაპიტალიზმი — ბაზრის თავისუფალ თამაშს. დაგეგმვა ხელფასსაც უნდა შეეხოს. მან ბოლო უნდა მოუღოს „თავისუფალ თამაშს“. ამტკიცებენ, საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ხელფასის დაგეგმვა ხორციელდებაო, მაშასადამე, ბრიტანელ სოციალისტებს როგორ შეუძლიათ თავიანთ სახლში გაილაშქრონ ასეთი ღონისძიების წინააღმდეგ?

მაგრამ ისინი, ვინც ასეთ არგუმენტებს მიმართავს, ისეთი გზით მიდიან, რომელიც მათთვისვე მეტად საშიშია. ისინი ბრალად ცდილობენ დააბრალონ ადამიანები. მაგრამ ხელფასის „დამეგმავებს“ თუ მიანცდამაინც სურთ საბჭოთა კავშირის მაგალითი გამოიყენონ, მოდით სიტყვაში დავიჭიროთ ისინი!

დიახ, საბჭოთა კავშირში ხელფასს გეგმავენ. მაგრამ იქ ქვეყნის მთელ ეკონომიკასაც გეგმავენ! იქ არ არის ისეთი პროექტები, რომ წაიგავდეს მინისტრი ჯორჯ ბროუნის „ეროვნულ გეგმას“, რომელზეც იძულებული გავხდით ხელი აგვეღო მისი შემოღებიდან ერთ წელზე ადრე და რომელიც, კიდევ რომ ეძოქმედა, გიგანტურ კაპიტალისტურ მონოპოლიებს უფრო ძლიერსა და მდიდარს გახდიდა. სსრ კავშირში ამშაეებენ ნამდვილად სოციალისტურ გეგმებს, რომლებიც ემყარება ქვეყნის რესურსებსა და მრეწველობაზე საერთო-სახალხო საკუთრებას, და რომელთა მიზანია ცხოვრება გაუუმჯობესონ არა რამდენიმე მილიონერ-მონოპოლისტს, არამედ მთელ ხალხს.

ერთადერთი „გეგმა“, რომელიც ამჟამად დიდ ბრიტანეთში არსებობს, არის ის, რომელიც ითვალისწინებს ხელფასის შენარჩუნებას დაბალ დონეზე, მაშინ როცა ფასები მატულობს. სხვანაირად რომ ვთქვათ — რეალური ხელფასის შემცირების გეგმა. საბჭოთა კავშირის ჭეშმარიტად სოციალისტური შვიდწლიანი გეგმის მიხედვით მშრომელთა ხელფასმა 19-20 პროცენტით იიწია. ამჟამად მოქმედი ხუთწლიანი რეალურ შემოსავალს კიდევ 1,3-ჯერ გაადიდებს.

კაპიტალისტურ დიდ ბრიტანეთში მრეწველობა მოდუნების მდგომარეობაშია, და, როგორც ჩანს, წარმოების დონე დაბლა დაწევას ცდილობენ. სსრ კავშირში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 8 პროცენტით გადიდდა. სოციალიზმმა საბჭოთა კავშირს მისცა წარმოების ზრდის ისეთი ტემპები, რომლებიც უკანასკნელ წლებში ორჯერ აღემატება ამერიკის და სამჯერ — ინგლისის ტემპებს.

ლეიბორისტული მთავრობის გეგმა „თუულ ათასობით ავტომობილშენებლებს ანიჭებს „თავისუფლებას“ იმუშაონ ორი-სამი-ოთხი დღე კვირაში. ბევრი მათგანისათვის იგი უზრუნველყოფს „თავისუფლებას“ სულაც არ იარონ სამუშაოზე, არამედ ამის ხაცვლად იტრიალონ შრომის ბირჟაზე. იმის „ოპტიმისტური“ პროგნოზები, რომ მალე იქნება „მხოლოდ“ 500 ათასი უმუშევარი, ახლა ადგილს უთმობენ ვარაუდს, რომ მათი რიცხვი მიიღწევს, ან შეიძლება კიდევაც გადააჭარბოს 800 ათასს. საბჭოთა კავშირში კი უმუშევრობა არ არის. იქ ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ დაეგმონ თავიანთი ხარჯები, რადგან მათი ყოველდღიური უნარი შეესაბამება წარმოების ზრდას. იქ ვერ ნახავთ კაპიტალიზმის ისეთ მოვლენებს, როგორიც არის სიღატაკე სამდიდრეში.

...ახლანდელი ეკონომიური სიძნელეები ინგლისელთა სიზარმაცის შედეგი, რესურსების ან უნარის უქონლობის შედეგი როდია. მათი წყაროა მოძველებული ეკონომიური სისტემა, მონოპოლიების კონტროლი მრეწველობაში. ეს სიძნელეები გამოწვეულია კაპიტალიზმის უუნარობით ყველას სასიკეთოდ გამოიყენოს ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებსაც ავტომატიზაცია და მეცნიერების პროგრესი იძლევა. ეს სიძნელეები შედეგია იმპერიალისტური პოლიტიკისა, რომელიც გვაიძულებს ასობით მილიონი ვხარჯოთ ზღვისქითა სამხედრო ავანტიურებზე. ყოველივე ამას საერთო არა აქვს რა სოციალიზმთან.

ჯორჯ მეტიუზი.
გაზეთ „მორნინგ სტარის“ მთავარი რედაქტორი.

(აას)

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის სიმბოლო

ჯაბაპარნაგარი. (საკვლევი). ათასობით ადამიანი შეიკრიბა დღეს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ობელისკთან კოიალის (გუჯრათის შტატი) სახელმწიფო ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გახსნის ცერემონიაზე. ეს ქარხანა აშენდა საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით. „გულითად მადლობას უძღვნით საბჭოთა მთავრობას და აქ მომუშავე საბჭოთა სპეციალისტებს დახმარებისათვის, რომელსაც ინდოეთს უწევენ მრეწველობის განვითარებაში“, — განაცხადა ქარხნის გახსნის ცერემონიაზე ინდოეთის პრეზიდენტმა სარვაპალი რადჰაკრიშნანმა. „ახალი ქარხანა, — ჯაზგასმით აღნიშნა მან, — დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ინდოეთის ნავთობის მრეწველობის განვითარების გზაზე. ეს წარმატება უზრუნველყო ინდოელი და საბჭოთა სპეციალისტების ერთად შრომამ“.

სიტყვის დამთავრების შემდეგ პრეზიდენტმა რადჰაკრიშნანმა აბრეშუმის საბურველი ჩამოხსნა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ობელისკს, რომელიც ქარხნის ტერიტორიის შესასვლელთან აღიმართა. ობელისკის მარმარილოს კვარცხლბეკზე ამოკვეთილია ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვები: „საბჭოთა კავშირმა დიდი დახმარება გაგვიწია და ამ დახმარებისათვის მადლობას ვუძღვნით საბჭოთა ხალხს, მაგრამ დახმარებაზე უფრო მეტად ვაფასებთ მის მეგობრობას“.

ახალი ქარხანა წელიწადში გადაამუშავებს 3 მილიონ ტონაზე მეტ ნავთობს და აწარმოებს დიდძალ ნავთსა და დიზელის საბობს, რომელთა იმპორტისათვის დიდძალი ვალუტა იხარჯება. გარდა ამისა ქარხანა ნედლეულს მიაწოდებს ნავთობქიმიურ კომბინატს და ქიმიური სასუქების ქარხანას, რომელიც მის მიდამოებში უნდა აშენდეს.

ფრანგ მეცნიერთა ღია წერილი

პარიზი, 19 ოქტომბერი. (საკვლევი). ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების გზაზე ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა ის, რომ შეერთებული შტატების მთავრობა დაჟინებით აცხადებს უარს ცნოს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი, ნათქვამია საფრანგეთის მასწავლებელთა და მეცნიერების მოღვაწეთა ღია წერილში ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებისადმი.

საფრანგეთის სამასზე მეტი მეცნიერების მოღვაწე ამ წერილში გამოთქვამს შეშფოთებას, რომ ვიეტნამის კონფლიქტი შეიძლება გადაიქცეს შესამე მსოფლიო ომად და დიდ სიმპათიას გამოთქვამს შეერთებული შტატების იმ მეცნიერებისადმი, რომლებიც იბრძვიან ვიეტნამის მშვიდობისათვის.

შეიქმნა ეროვნული პოლიცია

ბრაზავილი, 19 ოქტომბერი. (საკვლევი). კინშასის კონგოს პრეზიდენტმა გენერალმა მობუტუმ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის შესაბამისად შეიქმნება კონგოს ეროვნული პოლიცია.

დღემდე კონგოს ყველა პროვინციას ყავდა საკუთარი პოლიცია. ხშირად ადგილობრივი ლიდერები პირადი მიზნებისათვის და, კერძოდ, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული წარმატებანი. კომუნიკეში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადმოსცა, აღნიშნულია აგრეთვე, რომ ამერიკელი იმპერიალისტები კვლავ აძლიერებენ აგრესიულ ომს სამხრეთ ვიეტნამში და „საპაერო ომის „ესკალაციას“ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

კომუნიკეს დასასრულს ნათქვამია, რომ უმაღლესი სარდლობა მადლობას უძღვნის ყველა მეგობარ სოციალისტურ ქვეყანას, მსოფლიოს ყველა პროგრესულ ადამიანს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი ბრძოლისადმი სიმპათიისა და მხარდაჭერისათვის.

კუვ დე მიურვილის გამოსვლა

პარიზი, 19 ოქტომბერი. (საკვლევი). საუზმეზე, რომელიც ჟურნალმა „რეალიტემ“ გამართა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კუვ დე მიურვილმა გააშუქა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი. ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, თქვა მინისტრმა, დამოუკიდებელი უნდა იყოს, ამიტომ საფრანგეთმა გადაწყვიტა გამოსულიყო ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სამხედრო ორგანიზაციიდან და არა თვით ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირიდან, რომელიც, როგორც მან თქვა, „ევროპის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილების წონასწორობის ელემენტია“.

როგორც მინისტრმა თქვა, საფრანგეთის პოლიტიკის მიზანია ევროპის პრობლემათა მოწესრიგება. შემდეგ მან თქვა, რომ ამას ხანგრძლივი ევოლუცია დასჭირდება. ევოლუცია უკვე მიდის დაძაბულობის შენელებისა და ცივი ომის დამთავრებისაკენ, განაცხადა მინისტრმა. შეეხო რა საფრანგეთის მთავრობის პოზიციას ვიეტნამის პრობლემაზე, კუვ დე მიურვილმა თქვა: ჩვენი პოზიციის არსი ის არის, რომ ვიეტნამის პრობლემის გადაჭრა არ შეიძლება სამხედრო გზით. შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი გზა — მოლაპარაკების გზა. უნდა დავუბრუნდეთ ჟენევის შეთანხმებებს, ხაზგასმით აღნიშნა მან.

კუვ დე მიურვილი შეეხო აგრეთვე სხვა პრობლემებს. მან თქვა, რომ საფრანგეთის ვაჭრობა სოციალისტურ ქვეყნებთან ხელსაყრელია საფრანგეთის ეკონომიკისათვის.

ინდოეთ-ბრაზილიის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა

ინდოეთ-ბრაზილიის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში

ᲔᲛᲓᲚᲕᲜᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲡ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). პოლიტიკურ მუზეუმის საქმეთ დარბაზში, რომელშიც გამოხატულია. ცნობილი საბჭოთა პოეტები მაიაკოვსკი, ბლოკი, პასტერნაკი, გაიმართა ქართული პოეზიის დღე. საღამოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. გულია. საქართველოს პოეტების დელეგაციაში იყვნენ ი. ონნიშვილი, ა. კალანდაძე, მ. ლებანიძე, კ. კალაძე, თ. ჭილაძე, ო. ჭილაძე, ა. მირცხულავა.

ქართველ პოეტებს გულთბილად მიესალმა სომეხი პოეტი ა‌შოტ გრაში.

რუსმა პოეტებმა ევგენი ევტუშენკომ, ვლადიმერ ლუგოვეინმ და ელენა ნიკოლაევსკაიამ წაიკითხეს ქართველ პოეტთა ლექსები, რომლებიც თვითონ თარგმნეს.

გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანისა და ირაკლი აბაშიძის ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა ი. რუსინოვმა და ვ. კვაჭაძემ. საღამო დასრულდა კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსთაველის სახელობის არტისტი დ. გამრეკელი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ანსამბლი „შვიდკაცა“ და პიანისტი ლ. მიქავა.

გუშინ ქართველ პოეტებს შეხვედრა მოუწყეს ჟურნალ „დრუჟბა ნაროდნოვის“ რედაქციის თანამშრომლებმა.

დღეს ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლავ შედგება ქართული პოეზიის დღე, რომლის შემდეგაც ქართველი პოეტები ლენინგრადს გაემგზავრებიან.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ

ᲙᲐᲮᲘ (ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ), 19 ოქტომბერი (საქდესის სპეც. კორ.). რაიონის მშრომელებმა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნეს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი.

კოლმეურნეობებში, დაწყებულებებში, სკოლებში, გაიმართა ლექციები და საუბრები „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის შემოქმედების შესახებ. პოეტისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა მოეწყო ქართულ საშუალო სკოლაში.

შოთა რუსთაველის სახელობის კლუბში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის სალოკომოტივო დეპოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მსმენელები, საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საღამოზე მოისმინეს მოხსენებანი პროფესორ მ. ჩიქოვანისა — „შოთა რუსთაველი და მისი გენიალური პოემა“, პროფესორ ა. ლონტისა — „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ლიტერატურული ენა“, დოცენტ ვ. მაცაბერიძისა — „შოთა რუსთაველი და თანამედროვე ქართული პოეზია“.

რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა დ. გაჩეჩილაძემ. საკუთარი ლექსები წაიკითხეს ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ნ. ყულოშვილმა და ც. ბაბაჯანაშვილმა.

თბილისის სალოკომოტივო დეპოს ოფიციალურ ანსამბლი „ბიძინა“ ასრულებდა ძველ ქართულ სიმღერებს.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ •

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ თბილისში შეიქმნა მევიოლინეთა ანსამბლი, რომლის შემადგენლობაში არიან ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლეები და ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტები. ანსამბლში, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, დოცენტი შ. შანიძე ხელმძღვანელობს, ოცი ახალგაზრდა შემსრულებელია.

სულ მალე მევიოლინეები გამოვლენ ჩვენი დედაქალაქის საკონცერტო ესტრადაზე და შეასრულებენ ბიძინა კვერნაძის „მუსიკალურ მომენტს“ და რეპაზ ლაღიძის „სიმღერას მეგობარზე“.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: მევიოლინეთა ანსამბლი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲛᲔᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲗᲐᲠᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲣᲗᲘᲠᲘᲡ“ ᲛᲔᲡᲐᲛᲘᲐᲗᲐᲡᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ პრესის ძალა მკითხველთან კავშირია, მკითხველის მხარდაჭერა და მისი სიყვარული. სწორედ ეს სიყვარული და პატივისცემა დამსახურა თბილისის ორთქლმავალ-ეკიპაჟშემკეთებელი ქარხნის მოვალეობრივიანმა გაზეთმა „ჩვენმა საყვირმა“, რომლის მესამიათასე ნომერი დღეს გამოვიდა.

გაზეთი მხარდამხარ მიჰყვება ცხოვრებას, მის შეკამათებს ტრიბუნებს, აწყობს, პროგრესულის ინიციატორი და პროპაგანდისტია.

ქმედითია ძალ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები. სამგზავრო-სავაგონო საამქროში ხელით გადაჭრონდათ გოგორწყლები. ამ საკითხზე მაშხილებელი მასალის დაბეჭდვის შემდეგ ნაკლი გამოსწორდა, ხელით შრომა მექანიზმმა შეცვალა.

მუშაკორთა ფართო აქტივის დახმარებით რედაქცია ღრმად სწავლობს ქარხნის ყველა უბანს. წელს ორჯერ ჩატარდა მუშაკორთა შეკრება. გაზეთის რედაქციისა და ქარხნის პარტიული კომიტეტის ინიციატივით მოეწყო საამქროთა კედლის გაზეთების დათვალიერება.

გვჯერა, რომ „ჩვენი საყვირის“ რედაქცია, მისი მუშაკორთა აქტივი კვლავაც ბოლშევიკური მართალი სიტყვით აღწერს ჩვენს დღეებს, ამ დღეების უბადლო გმირებს, რომლებიც თავიანთი ვაჟკაცური შრომით ხორცს ასხამენ პარტიის დიად ჩანაფიქრს, ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებს.

ᲞᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲠᲔᲑᲘ სპორტის ერთ-ერთი მიმზიდველი სახეობაა. პირველი საკავშირო ჩემპიონატი ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინათ გაიმართა. მაშინ უძლიერესის ტიტული მოიპოვეს დედაქალაქის დინამოელებმა. მას შემდეგ პირველობა არ გათამაშებულა და დინამოელები დღესაც ინარჩუნებენ ჩემპიონის წოდებას.

დიდი ხნის შემდეგ ტრადიცია აღდგა, კვლავ თამაშდება ოქროს მედლები, ახპარეზობის დასკვნითს ეტაპს წინ უძღოდა ნახევარფინალური ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს, რსფსრ-ის, უკრაინის, ლატვიის, ლიტვის და სომხეთის რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის 29 გუნდი. ამ შეჯიბრებამ გამოავლინა ოთხი ფინალისტი. ესენი არიან — თბილისის ლოკომოტიველები, ლენინგრადისა და კიევის სპარტაკელები, დედაქალაქის დინამოელები.

სსრ კავშირის რეგბის ფედერაციის საორგანიზაციო ბიუროს გადწყვეტილებით ამ ოთხეულს შეუერთდა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი სასწავლებლის გუნდები და შეიქმნა ფინალისტთა ექვსეული. ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი ერთ წრედ გათამაშდება თბილისში 28 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ“ ᲛᲔᲮᲘᲙᲝᲨᲘ

მეხიკოს ასპარეზობა, რომელიც „სპორტის საერთაშორისო კვირეულად“ არის ცნობილი, მიმზიდველი ბრძოლით გამოირჩევა.

მსოფლიოს ეგზ-ჩემპიონი ნინა ტარინტაში. თბილისელი ომარ შუსპაძე კვლავ წარმატებით გამოვიდა, მან გადალახა კიდევ ერთი მეჯინა და მეოთხედფინალში გავიდა.

ბრძოლაში ჩაებნენ მძლეოსნები. სიმაღლეზე ხტომაში ვალეთა შორის უძლიერესი იყო საბჭოთა სპორტსმენი ვალერი სპვარცოვი, რომელმაც აჩვენა შედეგი — 2 მეტრი და 12 სანტიმეტრი.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲯᲔᲓᲒᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩები ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

ᲓᲘᲓᲦᲐᲚᲐᲥᲘᲡ „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვედნენ ლიდერთა ჯგუფის წამყვანი გუნდები — მოსკოვის „ტორპედო“ და ბაკოს „ნეფტჩინიკი“. გაიმარჯვეს ბაკოელებმა 2:1.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ზენიტი“ მოსკოვს ეწვია და აქ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე პაექრობა ჰქონდა ადგილობრივ „სპარტაკთან“. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 1:1.

ᲙᲘᲔᲕᲘ თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ალმა-ატის კაირატი. წარმატება კიეველებს ხვდათ — 3:0.

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲗ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ჩემპიონატი ძალოსნობაში სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია. ბერლინიდან ყოველდღიურად ახალ-ახალი სასახარულო ცნობებს მოდის — საბჭოთა შტანგისტები ტრადიციას არ ღალატობენ, მათ გამარჯვებათა კვირცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ამყარეს.

საერთო ყურადღებას იპყრობდა ქვესაშუალო წონის ძალოსანთა პაექრობა, სადაც მთავარ მეტოქეებად თვლიდნენ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲙᲣᲠᲔᲜᲪᲝᲕᲡ (სსრ კავშირი) და ᲕᲐᲚᲓᲔᲛᲐᲠ ᲑᲐᲨᲐᲜᲝᲕᲘᲩᲡ (პოლონეთი). აᲩᲛᲔᲚᲘᲡ საბჭოთა შტანგისტმა 5 კილოგრამით გაუსწორა მეტოქეს, მაგრამ მოგდებენო მოძრაობის — ატაცის შემდეგ ამერენეგ წონის სხვაობით დაწინაურდა.

3. ᲑᲐᲨᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘᲡ ყველაფერი უნდა გადაწყვიტა უკანასკნელ მოძრაობის — ატაცის. ბევრი საერთო წარმატებას ბოლოს ნელ შტანგისტს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ აქ თავი ირინა სპბჭოთა სპორტსმენის უმაგალითო ნებისყოფამ დაძალთა მობილიზებამ.

3. ᲙᲣᲠᲔᲜᲪᲝᲕᲘᲩᲘᲡ აკვარაში აჩვენა უმაგალითო შედეგი — 182,5 კილოგრამი ეს ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. პოლონელი ძალოსნის შედეგი მხოლოდ 175 კილოგრამი იყო. ამრიგად, საბჭოთა შტანგისტმა 3. ᲙᲣᲠᲔᲜᲪᲝᲕᲘᲩᲘᲡ სამ ჯერ 450 კილოგრამი აჩვენა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. 3. ᲑᲐᲨᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘᲡ ორეულს მეოთხე მოხლოდ 175 კილოგრამზე). ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ᲕᲔᲠᲜᲔᲠ ᲑᲘᲢᲠᲘᲰᲘᲡ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

საბჭოთა კავშირის გუნდი 21 ქულიდ ერია. მეორე ადგილზე არიან პოლონელები (18 ქულ.).

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ჩემპიონი საჭადრაკო ჟურნალი „ჩეხოსლოვაკია სპორტი“ ᲧᲝᲕᲚᲤᲔᲚᲘᲠᲘᲐᲜᲐᲓ აწყობს საერთაშორისო კონკურსს საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში. ჟურნალის ბოლო ნომერში გამოქვეყნებულია გასული კონკურსის შედეგები, სადაც თბილისელ კომპოზიტორებს დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული.

პირველი პრიზი ხვდა ჩეხოსლოვაკიელ Ვ. პაᲮᲚᲘᲜᲔᲚᲘᲡ. მეორე პრიზი მოიპოვა Ვ. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ, რომელმაც ცნობილ იდეაზე მინიატურული ფორმით შექმნა მიმზიდველი ეტიუდი. მესამე პრიზის მფლობელი გახდა Გ. ᲜᲘᲙᲐᲠᲐᲫᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ. მან თავის ცნობილ მხედრის მატივზე პირველად განახორციელა მოგეზის აღსანიშნავია, რომ ეს Გ. ᲜᲘᲙᲐᲠᲐᲫᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ 30-ე. პრიზია.

კოლეგებს არც Ვ. ᲜᲘᲜᲘᲫᲘ ჩამორჩა. მან „ᲙᲝᲛᲡᲛᲝᲚᲘᲡᲙᲐᲜᲐ ᲝᲡᲘᲐᲡ“ (ოდესა) საერთაშორისო კონკურსში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. კომპოზიტორმა ლაზიერის წინააღმდეგ ეტიუდისა და მხედრის ბრძოლის ცნობილი თემა სრულყოფილად, ახლებურად წარმოგვიდგინა.

ᲐᲡᲙᲐᲚᲘ ᲜᲐᲞᲠᲝᲕᲜᲘ ᲑᲔᲗᲚᲔᲰᲔᲛᲨᲘ

უსსმარი დროიდან საიდუმლოების ფარდა იყო დაფარული „ხეკის პატარძლის“ უბეში გამოკვეთილ ბეთლემის გამოქვაბულზე. ხალხი თაობიდან თაობას გადასცემდა მასზე ლეგენდებს...

და აი მთამსვლელმა ლეგან სუჯაშვილმა მყინვარწვერის მორიგი დალაშქვრისას ფრიალო კლდეზე. შენიშნა გადმოკიდებული ჯაჭვი, რომელიც რკინით აბეტონ კარს ჰქონდა გამობმული. შეიქმნა სიძველეთა მოყვარულების ექსპედიცია. მათ პირველად გაიარეს ბეთლემის კარი და ზოგიერთი ექსპონატი ჩამოიტანეს... ეს იყო 17 წლის წინათ. ხალხმა გაიგო, რომ ლეგენდა ბეთლემზე სინამდვილე ყოფილა. მაგრამ ყველაფერი ეს იყო ერთი რეგოლი ბეთლემის საიდუმლოებათა ჯაჭვში.

ვინ შექმნა ბეთლემი? რამ გააპირობა მისი არსებობა? რატომ არ შემორჩა უცნობი ხეროთმოძღვრის სახელი შთამომავლობას? იქნებ ბეთლემს ერის უკუღმართ წარსულთან ჰქონდა რაიმე კავშირი? ეს კითხვები იბადება, როცა ბეთლემის ქვაბურებისა და ნაგებობათა კომპლექსში მოხვდებით.

ბეთლემი მყინვარწვერის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარეობს. სამხრეთით მას გერგეტის, ხოლო ჩრდილოეთით— აბანოს მყინვარები ესაზღვრება: კომპლექსი აღმოსავლეთით „მარიამ წმინდის“ კარებიდან იწყება და 4.108 მეტრის სიმაღლემდე აღწევს.

ბეთლემის ცენტრალური გამოქვაბული (რომელზეც ჯაჭვი იყო დაკიდებული) გეომეტრიული სიზუსტით უკავშირდება „ნაბერალის“ გვლესიას.

გვლესია ბაზილიკური ფორმისაა. ამჟამად დანგრეულია, მაგრამ მნახველი ადვილად დარწმუნდება, რომ ის ოდესღაც ხეროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში იყო. როგორც ჩუქურთმების სიმრავლით, ისე შენების ტექნიკის თვალსაზრისით. გვლესიიდან ათი მეტრის მანძილზე შენობის ნაშთია დარჩენილი. უფრო ზევით კი „ამირანის ქოხი“, რომელიც მწვერვალიდან დაფარეულ უზარმაზარ ლოდებს დაუნგრევია. დარჩენილია მხოლოდ ქვის ორი ბოძი და ზედ გადებული ქვისავე დარე.

ეტყობა, განაშენიანება ჩრდილოეთით მიიწევდა. ქვა-ჯვარიდან ხუთიოდ მეტრის დაშორებით მორანს ქვის გალავანი, იქვე ახლოს დგას ნანგრევებად ქცეული ზურგიანი კოშკი. უფრო ჩრდილოეთით კი ეხვდებით „ბერების ანანოს“ გამიშვლებულ ფვალსადენის ნაშთს.

ქვის წყობა მშრალია. აგრეთვე აღსანიშნავია საშენი ქვის ნაირსახეობა: გამოყენებულია ლურჯი და შავი ფიქალი. ამ მასალით გადახურული და მოპირკეთებული ყოფილა შენობები. ამ ტერიტორიაზე არ მოიპოვება მსგავსი მასალა. ადგილობრივი მკვიდრნი ადასტურებენ, რომ ის მოტანილია „შავნაბადას მთიდან“. მშენებლებს ქვის ბეთლემში მოსატანად დიდი შრომა დასჭირდებოდათ. მათ უნდა გაეკვლიათ გერგეტის მყინვარის ნაპრალებიანი ზურგი, შემდეგ მოძრავი მორენა, ასულიყვნენ გამყოფ სერზე და „ნაბერალში“. დღისასთვის ეს წარმოუდგენლად გვეჩვენება.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბეთლემის შენების დროს მყინვარს შორის გამყოფი სერი წარმოადგენდა მისასვლელს. მისი მიკრორელიეფი არ იქნებოდა ისე გამოფიტული და შეცვლილი, როგორც ახლა. სწორედ ამ გამყოფ სერზე უნდა ყოფილიყო დასახლებამი მისასვლელი გზა.

ბეთლემის გამოქვაბულები 4.200 მეტრს აღწევენ. ეს კი მსოფლიოში განუმეორებელი სიმაღლეა, სადაც საკულტო და სხვა დანიშნულების ძეგლები არსებობენ.

და ყოველივე ამის გამო ბეთლემისადმი ყურადღება არასოდეს არ ნელდება, იგი კვლავ მრავალ მთამსვლელს იზიდავს. ამაზ წინათ მთამსვლელთა ჯგუფმა ა. აბაშიძის, ო. ხაზარაძის, შ. მირიანაშვილის, დ. დანგაძის, გ. ქართველიშვილის და ამ სტრიქონების ავტორის მონაწილეობით მიაღწიო „ნაბერალში“ მნიშვნელოვანი მატერიალური კულტურის ნიშნებს: აიაზმის ბაკანს, სვეტის თავს წმიდა გიორგის გამოსახულებით, ფალოსის ფორმის ქვას, ხის ჯვარს, რომელიც ადამიანის გამლილ ხელებს წარმოადგენს. მინისა და კერამიკის ფრაგმენტებს, ბრინჯაოს დასაკიდ სასანთლეს და სხვ. ყველა ამ ნაპოვნმა სპეციალისტების დიდი ინტერესი გამოიწვია. მთამსვლელებმა შეგროვეს კიდევ ორი ბაბეგელი, რომელთა დალაშქვრა ზემოხსენებული ალპინისტების ჯგუფს უახლესი დროისათვის აქვს გათვალისწინებული.

ბეთლემის კომპლექსი ისტორიკოსების, არქეოლოგების, არქიტექტორების, ეთნოგრაფებისა და სხვათა ყურადღების ღირსია.

Გ. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲛᲪᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ.

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲓᲦᲔᲗᲘᲗ ᲓᲦᲔ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲦᲔ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲘᲡ რაოდენობა ჩვენში დღითიდღე იზრდება. შესაბამისად იზრდება მოძრაობის ინტენსიურობა ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებში, ქუჩებში და გზებზე განუწყვეტლივ დაჭრიან სწრაფმავალი ავტომანქანები. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მოძრაობის უსაშიშრობის წესების დაცვა. ამ მხრივ უწინარეს ყოვლისა მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მძღოლებს. ამ სამუშაოზე ავტომეურნეობების ხელმძღვანელობამ უნდა შეარჩიოს შესაფერი პირები და მტკიცედ მოითხოვდეს მათგან, რომ უმწიკვლოდ ასრულებდნენ ყველა დავალებას.

ქუჩებში და გზებზე ავტომოძრაობის წესების დაცვა ეკალია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის ორგანოებს, კერძოდ სახელმწიფო ავტოინსპექციას. ავტოტრანსპორტი უავარიო მოძრაობის მიღწევის საქმეში მარტო ავტოინსპექცია ვერაფერს გააწყობს, თუ ადგილებზე, ე. ი. მსხვილ კაბინატებსა და საწარმო-დაწესებულებათა გარაჟებში მძღოლთა შორის დისციპლინა სათანადო დონეზე არ იქნება აყვანილი, რასაც ზოგიერთი საავტომობილო წარმოების ხელმძღვანელები, სამწუხაროდ, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ამით ისინი ზოგჯერ ხელს უწყობენ ავარიის შემთხვევებს. ავარიისა და ხიფათის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია გაუმართავი, უწესივრო მანქანებში ჩასმულა. მილიციის ორგანოები ყოველთვის ვერ ახერხებენ უწესივრო მანქანების შემჩნევასა და დაკავებას, ხოლო გაუმართავი მანქანით სიარული ავარიასა და ადამიანის მსხვერპლს იწვევს.

გურამ ფილიპეს-ძე ჯოხონელიძე მძღოლად მუშაობდა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს. ცაგერის ავტოსატრანსპორტო კანტორაში ავტომანქანა „ზილ-150“-ზე. 1963 წლის 6 აგვისტოს მან უხეშად დაარღვია მოძრაობის უსაშიშრობის და ექსპლოატაციის წესები, რის შედეგადაც ავტომანქანა ხრამში გადაადგო და მოქალაქე ნ. გოლეთიანი იმსხვერპლა.

ცაგერის სახალხო სასამართლომ გ. ჯოხონელიძეს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და სასჯელის მოხდის შემდეგ ავტომანქანის მართვის უფლება ექვსი თვით ჩამოართვა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჯოხონელიძემ თავისი საშფრო მოწმობა ავტონსპექციის მეშვაკს არ შესცა და არწმუნებდა, მოწმობა ავარიის დროს დამეკარგო. ფაქტიურად მან დამალა მოწმობა, რომ შემდეგ ესარგებლა. მან „ხიც მოახერხა, რომ პატიმრობიდან ვადაზე ადრე — 1965 წლის 25 დეკემბერს განთავისუფლდა. ცაგერის ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსმა ო. ბაბიანმა თავისი მძღოლის მიმართ გულისხმიერება გამოიჩინა და ისევ ის ავტომანქანა ჩააბარა. ცაგერის ავტოსატრანსპორტო კანტორის ხელმძღვანელობამ ჯოხონელიძეს საშუალება მასცა კვლავ ჩაედინა. დანაშაული.

მიმდინარე წლის 25 თებერვალს გ. ჯოხონელიძეს ცაგერის ავტოსატრანსპორტო კანტორის იმავე ავტომანქანით სოფელ ტვიშის ღვინის ქარხნიდან გადაჭრონდა ათი ლასრი საკონიაკე ღვინო. ხალტურის მოყვარულმა მძღოლმა ლასრებით დატვირთულ მანქანაზე. მგზავრები დასვა. მან მოსახვევში განავითარა დიდი სიჩქარე და მანქანა ხრამში გადაჩეხა. ოთხი კაცი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო სამმა სხეული სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო. მძღოლი გურამ ჯოხონელიძე ავარიის ადგილიდან გაიქცა. ცაგერის მილიციამ რამდენიმე დღის შემდეგ დაიპატიმრა იგი.

გ. ჯოხონელიძე საკადრისად დაისჯება. მაგრამ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის მძღოლთან ერთად გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ცაგერის ავტოსატრანსპორტო კანტორის ხელმძღვანელობასაც. საერთოდ ცაგერის ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლთა შორის დისციპლინის დონე ძალიან დაბალია. მაგალითად, 3 იანვარს ჭუმალ კოპალიანმა გარაჟიდან უნებართვოდ, საგზური ფიურცლის უქონლად, პირადი გამორჩენის მიზნით, გამოიყვანა ავტომანქანა. მან უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები და მანქანა დაიჯახა 12 წლის ბიჭუნას, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. როგორც ეგზამენებმა, ამ გარაჟის არც ახალი ხელმძღვანელობა დგას მოწოდების სიმაღლეზე.

სამტრედიის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს სხვადასხვა მარკის მრავალი ავტომანქანა ჰყავს. ავტომანქანებისათვის (უფროსი ბ. ფოცხიშვილი) გარაჟ-სადგომი გამოყოფილია სოფელ ბაგებაში, მაგრამ გარაჟ-სადგომში ღამით ავტომანქანებს ვერ ნახავთ. მძღოლებს მანქანები თავიანთ ეზოებში უყიენიათ და ხალტურაზე დაჰყავთ საათაც უნდათ.

ᲣᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡᲐᲡ გარაჟში იდგა მხოლოდ ორი ავტომანქანა. ერთი გაძარცული იყო, მეორეს კი კბილტალური შეკეთება ესაჭიროებოდა. სხვა ავტომანქანები სად იმყოფებოდა, არავინ იცოდა. ამავე წარმოების ავტომანქანას მძღოლი ჯ. კაკაბაძე მუდმივად მართავდა. ამიტომ სამტრედიის მილიციის სადისკვალიფიკაციო კომისიამ ჯ. კაკაბაძეს ერთი წლით ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება. ამის შესახებ ავტომეურნეობის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს ეცნობა წერილობით, მაგრამ მძღოლი კაკაბაძე კვლავ განაგრძობდა მუშაობას. ინალოგიური საქციელი ჩაიდინა ამავე წარმოების მძღოლმა ბრეგვაძემაც. ცხადია, სამტრედიის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ავტოტრანსპორტის საეკსპლოატაციიდ მზადყოფნის საქმეს და, როგორც ჩანს, არც კი აინტერესებს მძღოლთა დისციპლინის განმტკიცების საკითხი.

მიმდინარე წლის 21 ივნისს ავტოინსპექტორმა დაიჭირა თბილისის ავტოკოლონა № 2652-ის ავტომანქანა, რომელსაც ს. ქიტუაშვილი მართავდა. ს. ქიტუაშვილი სახელმწიფო მანქანას იყენებდა პირადი გამორჩენის მიზნით. მძღოლს არ ჰქონია საშფრო მოწმობა, საგზური გამოწერილი ჰქონდა ძველი რიცხვით. ტექნიკური ტალონი და საგზური ფიურცელი არ წარუდგენია. ამით არ დაინტერესებულან ᲐᲕᲢᲝᲙᲝᲚᲝᲜᲐ № 2652-ის (ცენტრის უფროსი შ. გაზოკიძე) მესვეურები. ქიტუაშვილს საჭიროდ გაუსწორეს საბოლოო ანგარიში მისი თხოვნით. ამით კოლონის ხელმძღვანელობამ მძღოლს საშუალება მისცა თავიდან აეცილებინა სასჯელი დანაშაულისათვის.

ყოველივე ამის შემდეგ კოლონის ხელმძღვანელობამ საყვედურით მოგვმართა, სახელმწიფო მანქანა ცდები, მანქანის ნომრები და ტექნიკური ტალონი დაგვბრუნეთო. ხოლო როდესაც ვთხოვეთ ჩვენთან გამოცხადებულიყო მძღოლი ქიტუაშვილი, ასეთი პასუხი მივიღეთ: ის მძღოლი ჩვენგან წასულია. და რაც გინდათ ის უყავითო. ცხადია, ასეთ ვითარებაში ძნელია მოძრაობის უსაშიშრობაზე ლაპარაკი. თუ ავტომეურნეობის მუშაკები საერთო საქმეს ასე უსულგულოდ მოეკიდებიან, დაფარავენ დანაშაულებს, „მაშინ ძნელი იქნება სანიმუშო წესრიგის დამყარება. საბერეთა მილიციის ორგანოებს მხარში ამოუდგნენ ავტომეურნეობის მუშაკები, რათა დანაშაული ადგილზევე იქნას აღმოფხვრილი.

ავტოტრანსპორტზე ავარიები და უბედური შემთხვევები რომ მოვსპოთ, საჭიროა შემოვიღოთ მკაცრი დისციპლინა და კონტროლი. განსაკუთრებული მომთხოვნელობა უნდა გამოვიჩინოთ მძღოლებისადმი. ამ საქმეში ავტოინსპექციის მუშაკებთან ერთად ფართოდ უნდა ჩავაბათ საზოგადოებრიობა. საწარმოო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და ტრანსპორტის მუშაკები. მხოლოდ ამ გზით შეეძლებთ სანიმუშო წესრიგი დავამყაროთ ტრანსპორტზე.

Ზ. ᲚᲝᲛᲐᲘᲐ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲬᲕᲓᲚ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲕᲢᲝᲘᲜᲡᲞᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ, ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ „ᲡᲝᲡᲘᲣᲠᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ“ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲖᲔ“ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1967 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲗᲕᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲦᲜ